





# იქმნება ქართველ მწერალთა ფედერაცია

გაიმართა საქართველოს მწერალთა ასოციაციებისა და გაერთიანებების წარმომადგენელთა კრება, რომელშიც იმყოფებოდა ქართველ მწერალთა ფედერაციის შექმნის შესახებ.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ ეროვნულ-დემოკრატიული მწერალთა ასოციაციის, მთარგმნელთა ასოციაციის, ასოციაცია „ლომისის“, ასოციაცია „გულანის“, „გრაალის ორდენის“, თავისუფალ მწერალთა გაერთიანების „იასრის“ წარმომადგენლები, ცალკეული მწერლები.

კრების მონაწილეებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ უკვე არსებული სამწერლო ასოციაციებისა და გაერთიანებების ბაზაზე ჩამოყალიბდეს ქართველ მწერალთა ფედერაცია.

გამოითქვა აზრი, რომ დიდი ხანია დადგა დრო, საქართველოს ჰქონდეს თვისობრივად ახალი, დემოკრატიული პრინციპით აგებული დამოუკიდებელი სამწერლო ორგანიზაცია, რომელიც არ იქნება სსრკ მწერალთა კავშირის ნაწილი, არ იქცევა ოციციკლიური ხელისუფლების იდეოლოგიური დასაყრდენად და თავისი საქმიანობით ხელს

შეუწყობს მიმდინარე ლიტერატურული პროცესების შესწავლას, სალიტერატურო და შემოქმედებითი ცხოვრების აღმავლობას, მაქსიმალურად დაიცავს მწერალთა პროფესიულ და მოქალაქეობრივ უფლებებს, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ქართველ მწერალთა ფედერაცია უნდა ემყარებოდეს საქუთარი წესდებით მოქმედ სამწერლო ასოციაციებისა და გაერთიანებების, ასევე ცალკეული მწერლების სრულ დამოუკიდებლობას და გამოხატავდეს მხოლოდ მათ ერთობლივ ინტერესებსა და პოზიციას ლიტერატურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

კრებამ აირჩია ქართველ მწერალთა ფედერაციის წესდების პროექტის მოსამზადებელი კომისია 11 კაცის შემადგენლობით. გადაწყდა, რომ წესდების პროექტის განხილვა გაიმართება საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის კლუბში, 11 ივლისს, დღის 3 საათზე.

ვახტანგ ხარაილაძე, დავით მთაწარი

# აკაკი წერეთელი და ლეონიდ სოხინოვი

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში პეტერბურგის კულტურულ ცხოვრებაში კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. 1861 წელს აქ პირველად ჩატარდა ქართული საღამო, რომელშიც შემდეგში სისტემატური ხასიათი მიიღო. „ქართულ საღამოებში“, რომელიც ძირითადად ლიტერატურულ-მუსიკალური იყო, გამოდიოდნენ და თავის ოსტატობას უჩვენებდნენ ქართველი მწერლები, პოეტები, მსახიობები, მუსიკოსები და კულტურის სხვა გამოჩენილი მუშაკები, რომელთაც დიდი მწიფებით ხელმძღვანელობდა აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ქართულ საღამოებში, გარდა ქართველებისა, სხვა ერის გამოჩენილი ადამიანებიც ღებულდნენ მონაწილეობას, რასაც წარმოადგენდა პროგრამაში თავისებური ემზი და სილამაზე შექმნისათვის.

ერთ-ერთი ასეთი დაუფიქვარი საღამო გაიმართა 1913 წელს პეტერბურგის ე. წ. სათავადაზნაურო საკრებულოში, ხალხით გავერდილი ვეებერთელა ლამაზი დარბაზში მოუთმენლად ელოდა შეხვედრის დაწყებას. ჰქონდათ კიდეც საამისო მიზეზი, რადგან მათ იმ დღეს ორმაგი სიამოვნება ელოდათ. საღამოს უნდა დასწრებოდა ქართველი ერის საამაყო შვილი, ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი, და მეორე ის, რომ სცენაზე უნდა გამოსულიყო მაშინდელი ანაღვანობის კერძი, სახელგანთქმული მომღერალი ლეონიდ სოხინოვი, რომლის შესახებ რეცენზენტები წერდნენ: „მისი ნარჩარი ხმა ატოკებს სულს, ატკობს გულს, ანეტარებს სულიერ

განწყობილებას და უხილავი ნექტარით დამთვრალი მსმენელი მეშვიდე ცაზე გადაყვას, რომ ერთი წუთით მაინც მოსწყვიტოს იმ „საშინელებათა სამყაროს“, რომელსაც დედამიწა ეწოდება“.

საღამო სოხინოვმა გახსნა. მის გამოსვლას საზოგადოება დიდი ოცებით შეეგება და მანამდე არ უშვებდა სცენიდან, სანამ არ გამოცხადდეს მეორე განყოფილებაში იმღერებდა. ა. წერეთელი ამ დროისათვის დარბაზში არ ჩანდა... და იქყო მეორე განყოფილება. გამოჩნდა სოხინოვი, აქედრდა ბალაღაიკა... ამ დროს ფოიედან გაიმხატავს ყრუ ხმა, რომელიც დატრიალს თანდათან უახლოვდებოდა და ძლიერდებოდა. და აი, განათდა ღვთაებრივი სახე მსცოვანი პოეტისა. დარბაზმა უკან მოიხრია და ფეხზე წამოდგა. აკაკის თანახმად „არწივისცხვირა ქუჩუხთმანი“ თანამემამულეთა გუნდი. რომლებმაც ტაშის გრაილში მგოსანი პირველ რიგში მიაცილეს. შთაშვებდავი იყო პოეტისა და მომღერლის შეხვედრის მომენტი. სოხინოვმა მოიწადინა მსცოვანი პოეტის გაცნობა და მასთან პარტერში ჩავიდა. ეს ეპიზოდი შემდეგნაირად აღწერა განუთ „მეოცნობი“ (1913 წ. № 27) ვინმე გალიორკამ: პოეტიამ ქნარს ჩუქროლა, სათუთმა სიმებმა წკრაილი მორთეს და მისი იღუმალი ხმით მოხიბლული საზოგადოება ფეხზე წამოდგა და პოეტისა და არტისტის ერთმანეთზე გადაჭოდობი ხელები — ეს ემბლემა ორი ერის კულტურის ნათესაობისა და კავშირისა, ტაშის გრაილთ აღნიშნა“.

გივი თუშიშვილი

**Soviet Georgians discuss freedom**

**Tbilisians bridge neighborly gap**

**Eager students at Atlanta elementary school quiz visitors about youth violence back home**

**როზარტ ბერი,**  
საკუთარი კორესპონდენტი:  
**ნიუ-იორკი** — საბჭოთა საქართველოს ანტიკომუნისტური ოპოზიციის წამყვან წევრებთან შეხვედრით ოთხშაბათს დასრულდა ირაკლი შენგელიას ერთკვირიანი მეგობრული ტურნი.

ქართველი პოლიტიკური აქტივისტი, საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის ლიდერი საშაბათს გაემგზავრა ატლანტიდან ნიუ-იორკში, რათა, როგორც თვითონ აღნიშნა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის გადაეცა საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლისკენ მოწოდებისა და სსრკ შემადგენლობიდან გასვლის 17-გვერდიანი მანიფესტი. ეს შეხვედრა არ შედგა, მაგრამ, ამის სანაცვლოდ, ნიუ-იორკში საქართველოს დემოკრატიული მოძრაობისკენ საყოველთაო ყურადღების მიპყრობის მიზნით ჩატარებულ სესიანზე, იგი შეხვდა საქართველოს ორიათასიანი ქრისტიან-ახალგაზრდული ასოციაციის პრეზიდენტს ირაკლი კაკაბაძეს და ქართველთა მეგობრული ვიზიტის სხვა წევრებს.

„მე მხოლოდ ერთი სურვილი მაქვს, ვიყოთ თავისუფალი“, — გააცხადა ირაკლი შენგელიამ ნიუ-იორკის ლაგარდის აეროპორტში ჩამოსვლისას.

ქართველთა მეგობრული ვიზიტის ჯგუფთან ერთად ამ კვირაში ატლანტაში ჩამოვიდა ათი ქართველი, ეროვნული მოძრაობის აქტიური წარმომადგენელი, რომელთაც დაგეგმილი ჰქონდათ ერთმანეთს შეხვედროდნენ ნიუ-იორკში, ან გამგზავრებულყოფნენ ვაშინგტონში, რათა შეერთებული შტატების მთავრობისათვის ეთხოვთ მხარდაჭერა და კეთილგანწყობა მათი მიზნისადმი.

ნიუ-იორკში, 84 წლის არჩილ კეკელიას სახლში (კაცი, რომელსაც სტალინის დროიდან დაწყებული მრავალი წელი აქვს გატარებული ციმბირის ციხეებსა და ბანაკებში), კოლჯ პოინტში, კვინის რაიონში, ირაკლი კაკაბაძემ აღნიშნა: „ჩვენ გვსურს შევხვედეთ სენატორ ჯეის ჰელმსს“ (ჩრდილოკაროლინას რესპუბლიკელთა ლიდერს).

ბატონმა არჩილ კეკელიამ, რომელსაც აშშ-ში თავისი ემიგრაციის პირველივე, 1951 წლიდან მოყოლებული ბევრი პოლიტიკური შეხვედრა გაუთხოვს თავის სახლში, ქართველთა ჯგუფს უჩვენა თავის დროზე არალეგალური გზით მოპოვებული ვიდეოჩანაწერი 1989 წლის 9 აპრილის ათასობით ქართველთა დემონსტრაციისას თბილისში, რომელიც საბჭოთა ქარების მიერ დაბრუნდა იქნა და იმსხვირბლა სულ ცოტა 20 ადამიანი.

ნიუ-იორკში ოთხშაბათს, 26 აპრილს შემდგარი შეხვედრა ჯერ კიდევ თბილისში იქნა დაგეგმილი ქართველთა მეგობრული ვიზიტის მომზადებისა და დახურულად უკვე ატლანტაში სსრკ დემოკრატიული მოძრაობის შემსწავლელი ცენტრის პრეზიდენტ ედუარდ გულდავასთან შეხვედრისას.

„ვე ატლანტა ქორნალ ენდ ქონსთოუშ“.

ოთხშაბათი, 26 აპრილი, 1990 წ. პუბლიკაცია მოამზადეს

**გზია აბრამიძე,**  
და **ნიონ შარვაშიძე**  
**ფოტოში:** არჩილ კეკელია (მარცხნივ) ეხალმება ირაკლი შენგელიას.

# საქართველო-ჯორჯია

**ქართველთა თავისუფლებაზე საუბრობენ**

როგორც ჩვენი მკითხველისათვის ცნობილია, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჯორჯიის შტატში, ქ. ატლანტაში მიმდინარე წლის აპრილში იმყოფებოდა ქართველთა დელეგაცია.

ქართველთა ჯგუფს ხაოცრად გაუთბილი შეხვედრა შეუწყვეს ჯორჯიელმა. ატლანტის პრესაში ბევრი დაიწერა საქართველო და ქართველობის შესახებ. ფართო გამომხატვრები დაიბეჭდა საქართველოს ეროვნული მოძრაობისა და ლიტვის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შესახებ.

ვეფქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება ინფორმაცია ამერიკული გაზეთიდან.

**ცნობილი** ბათუმელი ბიბლიოფილის მამია ხარაზის საქუთარი ბიბლიოთეკა 20000-მდე წიგნს ითვლის. ამ დიდი მეცნიერის სამკითხველოს კარები ყველასათვის ღიაა და ჩვენც არაიშვითად ვსარგებლობთ მასპინძლის გულუხვობით.

ჩემი ბოლო სტუმრობის დროს ბატონი მამია აღმფრთხილებული დამხვდა, ხელში პატარა ჟურნალი ეჭირა. **Русское слово**, № 3 1988 — ამოვიკითხე. საქართველოს სსრ სხვაობა განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური ჟურნალი. ერთი ნახთ როგორ უსაზრთოდ ექცევიან ჩვენს გულმღერ მწერლებს. მართალი გითხრათ, აქამდე არც კი ვიცოდი ამ ჟურნალის არსებობა.

მე ვერ ვიკისრებ ამ ალბათ მართლაც საქირო ჟურნალის მიმოხილვას, იგი არ შედის ჩემს კომპეტენციაში. მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ ამ ნომრის 68-85 გვერდებზე დაბეჭდილ თავზე „მოგზაურობა საქართველოში“ და მის კომენტარებზე.

„მოგზაურობა“ ასე იწყება: 160 лет назад великий русский поэт А. С. Пушкин совершил поездку в Закавказье... Единственной дорогой, которая связывала в то время Россию и Закавказье, была Вонинно-Грузинская дорога... სტატიის ავტორის (მისი ვინაობა უცნაოა გაუგებარია) აზრით ა. პუშკინის, მ. ლერმონ-

ტოვის, ლ. ტოლსტოის გარდა ამ გზას «...воспели в своих стихах грузинские поэты. С ней связаны имена И. Чавчавадзе, А. Церетели, А. Казбеги...».

როგორც ჩანს, ავტორისათვის კარგად არის ცნობილი, რომ პუშკინი „ველიკი პოეტი“ა, ხოლო ილია, აკაკი და ალექსანდრე ყაზბეგი მისი აზრით უბრალოდ „გრუნინსკიე პოეტი“ ყოფილან.

ქართველმა პოეტებმა საქართველოს სამხედრო გზას უმღერესო, ნათქვამია — ჟურნალში. შესაძლოა მე გამომჩინა, მაგრამ რაღაც არ მახსოვს, რომელიმე ცნობილ ქართველ პოეტს ამ გზისათვის ემ-

# „კომენტარები“

ლეროს. არც „მგზავრის წერილებში“, აკაკის ლექსებში და ან კიდევ ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებებში („მამის მკვლელო“, „ელგუჯა“ და სხვ.), არა სჩანს, რომ ავტორები ამ გზას უმღერიათ.

მე გეოგრაფი არ ვახლოვდები, მაგრამ იმას მაინც ვერ დავიჯერებ, რომ პუშკინის მოგზაურობის დროს, ე. ი. 1829 წელს ამიერკავკასიის რუსეთთან მხოლოდ დარიალის ხეობა აკავშირებდა. მართალია საქართველოს სამხედრო გზა ძირითადად იყო, მაგრამ, როგორც ვიცით,

მაშინ ასტრახან-ბაქოს გზაც არსებობდა და გემებიც მოძრაობდნენ, რადგან კასპიის ზღვა არ იყო დამშრალი (ბაქოც ამიერკავკასიის ეკუთვნოდა).

ბატონ მამია ხარაზის აღმფრთხილების მთავარი მიზეზი ჟურნალში გამოქვეყნებული თემის „კომენტარებია“. 83-ე გვერდზე შავით თეთრზე სწერია:

Максим Горький — великий русский писатель, Чавчавадзе Илья — грузинский







# ეროვნული მოძრაობის საკორდინაციო ცენტრის მიმართვა

### რეგიონალური ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაციებისადმი

23-25 მაისს ჩატარებულ საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე მოხდა სხვადასხვა პოლიტიკურ პლატფორმაზე მდგარი ეროვნული პოლიტიკური პარტიების გაერთიანება, რამეთუ უზენაესი მიზანი ყველასათვის ერთია — საქართველოს სრული დამოუკიდებლობა. ეროვნული ძალების ერთიანობის შემდეგი ეტაპი უნდა გახდეს საქართველოს ეროვნული კონგრესი, რომლის არჩევნები დანიშნულია 30 სექტემბერს.

საკორდინაციო ცენტრის წევრების ადგილებზე გასვლით ირკვევა, რომ ბევრი რაიონში ეროვნული ძალები ჯერ კიდევ დაქსაქსული არიან, არც თუ იშვიათად უპირისპირდებიან ერთმანეთს, რაც

ძირითადად გამოწვეულია პიროვნული მოტივებით. დღეს, როცა საქართველო ეკვლება მობილიზება, რათა ჩატარდეს კონგრესის არჩევნები, საკოორდინაციო ცენტრს ასეთი ვითარება შეუწყნარებლად მიაჩნია.

საკორდინაციო ცენტრში შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციები და პარტიები მოუწოდებენ თავიანთ ფილიალებს ადგილებზე დაუყოვნებლივ გაერთიანდნენ პარიტეტულ საწყისებზე ეროვნული მოძრაობის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებში და ერთობლივი ძალებით გაშალონ მუშაობა ეროვნული კონგრესის არჩევნების ჩასატარებლად.

ეროვნული მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრი

**აბიჯივით დეპუტატები!**  
საქართველოს ყურალისტები მივესალმებით რიგგარეშე სესიის მუშაობას და გისურვებთ ნაყოფიერ საქმიანობას საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის რთულ გზაზე.

პარტიულ დეპუტატებო! თქვენ კარგად მოგეხსენებათ ჩვენი სამშობლოს ყოველდღიური ცხოვრების სიძნელეები, რომელთა ჩამოთვლითაც თავს არ შეგაწყენთ. გვიანდა მხოლოდ აღვნიშნეთ დღევანდელი ხელისუფლების დანაშაულებრივი გულგრილობა თბილისში მოთარეშე ტერორისტების მიმართ, რომლებიც იარაღსმულეები მძვინვარებენ და შიშის ზარს სცემენ ისედაც მძიმე ცხოვრების პირობებში მყოფ მოსახლეობას.

ჩვენ, ქართველი ყურალისტები, მოგმართავთ, რომ საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ გა-

## საპარტიო სსრ უზენაესი საბჭოს დოკუმენტები

მოიყენოს თავისი შესაძლებლობები და დროულად ალაგმოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული მათი მოქმედება. გამოავლინოს ტერორისტთა მოთავეები და ხალხის სამსჯავროზე წარმოადგინოს. ჩვენ და სამშენებლო, მათ რიგებში ვხვდებით ზოგიერთ პოლიტიკურ „ლიდერებსაც“, დადის ხმები, რომ ისინიც დაშინებული ჰყავთ ტერორისტებს და სიკვდილის შიშით თავიანთ ჰკუპზე ატარებენ. ქართველი ყურალისტები თქვენს ყურადღებას შეგვაჩვენებთ იმ ფაქტზეც, რომ ამ ანტიეროვნული ჯგუფების საქმიანობა მიმართულია ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარტიარქის ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, რომლის სიტყვებიც საფრთხის წინაშე დგას.

ჩვენ, მთელი პასუხისმგებლობით გაფრთხილებით, რომ ამ ტერორისტული ჯგუფების მიერ ჩადენილ ყოველ დანაშაულზე, მათთან ერთად აგებს პასუხს საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება, რომლის წარმომადგენლებიც თქვენ ბრძანდებით.

**ამბროსი შარნაღლიანი**  
**ჯგუფი. 97 ხელმოწერა.**  
მიმართვა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიის წინა დაწერილი.

შემთხვევაში შეუძლიათ განაგრძონ მუშაობა.

საკორდინაციო ცენტრის მიზანმიმართული მხატვრის სახელი.

გამარჯვებული ექსპონატები გამოავლდება მასობრივი ტრიბუნატი. პრეზენტის მონაწილეობის მსურველებს ვთხოვთ, შემოგვეხმადონ ტელეფონებით 95-04-97 (სამუშაო დღეებში) და საათებში, 96-96-26 (არასამუშაო დღეებში).

საქართველოში შიღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოება (მუშაობის ახლიცაა „კათარზისი“)

**საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ საქართველოში შიღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოებამ (მუშაობის ახლიცაა „კათარზისი“) გამოაცხადა**

## კონკურსი

შიღის თემისადმი მიძღვნილი საუკეთესო პლაკატის გამოკვლევა. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს.

დაწესებული პრემიები: ერთი პირველი პრემია 1000 მანეთის ოდენობით. ორი მეორე პრემია თითოეული 750 მანეთის ოდენობით. სამი მესამე პრემია თითოეული 500 მანეთის ოდენობით.

წამახალისებელი პრემიები. მხატვარ-პლაკატისტთა თხოვნით კონკურსის ვადა გაგრძელებულია 25 ივლისამდე.

ერთი მხატვრის მიერ წარმოდგენილ ნამუშევართა რაოდენობა შეზღუდული არ არის, ასე რომ მხატვრებს, რომლებმაც უკვე წარმოადგინეს პლაკატები, სურვილის

შემაჯავრობებელი მოძრაობის პარტიარქის ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, რომლის სიტყვებიც საფრთხის წინაშე დგას.

ჩვენ, მთელი პასუხისმგებლობით გაფრთხილებით, რომ ამ ტერორისტული ჯგუფების მიერ ჩადენილ ყოველ დანაშაულზე, მათთან ერთად აგებს პასუხს საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება, რომლის წარმომადგენლებიც თქვენ ბრძანდებით.

**ამბროსი შარნაღლიანი**  
**ჯგუფი. 97 ხელმოწერა.**  
მიმართვა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიის წინა დაწერილი.

# საპარტიო სსრ უზენაესი დამოუკიდებლობის განცხადება

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაში შექმნილი უაღრესად რთული და დაძაბული ვითარების გამო გადაწყდა 1990 წლის 30 ივნისისათვის საქართველოს დედაქალაქში, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბ-ბინაში (რუსთაველის გამზირი № 29) მოწვეული იქნას საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის საგანგებო სხდომა. სხდომაზე დასწრება სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისა, კანდიდატისა და მოკავშირისათვის. მიემართავთ თბილისის, მცხეთის, გორის, ახალგორის, ზაშურის, გარდაბნის, თეთრიწყაროს, საგარეჯოს გურჯაანის, სიღნაღის, თელავის, ახმეტის, ქუთაისის, თერჯოლის, ვანის, ბაღდა-

თის, ქიათურის, საჩხერის, ლენტეხის, ონის მარტვილის, ზუგდიდის, სენაკის, ჯგერის, ფოთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ქობულეთის რაიონულ ორგანიზაციებს სრული წარმომადგენლობით დაესწონს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის საგანგებო სხდომას. სხდომაზე არდასწრება ისევე პარტიის რიგებიდან დაუყოვნებლივ გარიცხვით. გამოხატვის არ დაიშვება. პარტიის ყველა წევრი უნდა გამოცხადდეს მანდატით. სხდომა დაიწყება შაბათს, 11 საათზე.

**ირაკლი წარითელი,**  
საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე.

## გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქციას

გავეცანი 1990 წ. 26 მაისის „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნებულ ნატო ონაინს კორესპონდენტის: „თურქთა ჯარებისაგან ბათუმის განთავისუფლებისათვის“. მისასაღებელია, რომ დღეს უკვე გახსნილია ბათუმის თურქეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპულ მებრძოლთა სამძიმო საფლავი და საარქივო მასალების მოშველიებით ცდებიან დალუპულთა ვინაობის დასადგენად.

გაზეთში წაიკითხე ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ქრისტინე შარაშიძის 1950-იან წწ. მონათხრობი გამასსენა (ნიშნდობილია, რომ ქრ.

შარაშიძის შესახებ ინფორმაციას ამავე გაზეთში 1990 წ. 26. V უკვე ვხვდებით, გვ. 10, 13).

1921 წ. თებერვალში ქალბატონი ქრისტინე მონაწილეობდა თბილისის დაცვაში. ამიტომაც მოხდა, რომ კორესპონდენტმა ნაცნობობაგან უკანასკნელად მან ნახა ახალგაზრდა მარო მაყაშვილი... მას შემდეგ კი, რაც თბილისი წითელმა არმიამ დაიკავა და ქართველი პარტიოტები უკვე ბათუმისათვის დასრულდნენ თურქთა ჯარებისაგან, ქალბატონი ქრისტინე ბათუმშია და მხარში უდგას სამშობლოს დამცველებს.

ერთ დღეს დაჭრილთა შორის მას შეუნიშნავს შესანიშნავი გა-

რეგონის მთლად გაფთხებული ახალგაზრდა და რადგან, სხვათა შორის, მისი მდგომარეობა უფრო მძიმე ჩანდა, გადაუწყვეტა პირველ რიგში მისთვის აღმოჩენილ დახმარება. ქრისტინეს ჩაუნთებია დაჭრილთა და გვარი უკითხავს — „მიქელაძე“ — უპასუხია ახალგაზრდას და სულაც დაუღვივია ამ ამბავს იმდენად დიდი მთავრულივით მოუხდენია ქრისტინეზე, რომ 30 წლის შემდეგაც, როდესაც იხსენებდა, ემოციურად ვერ ფარავდა.

საინტერესოა, დალუპულთა სიაში, საარქივო მასალებში ჩანს თუ არა მიქელაძის გვარი.

თუ არა, მაშინ ჩვენ კიდევ ერთი პარტიოტის გვარი გვაქვს დადასტურებული, საშუალოდ ჯერ-ჯერობით მხოლოდ ზეპირი გადმოცემით (ყოველგვარი მონაცემების გარეშე).

**დარეჯან მებრძოლამ**

# დია ფერილი

საპარტიო სსრ უზენაესი  
საბჭოს თავმჯდომარის  
ბატონ გვიმ გუგარაძის  
გაზეთების „ახალგაზრდა ივერიელი“  
და „მამული“ რედაქციებს

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გაზეთში „მამული“ № 10, 1990, 18 მაისი, გამოქვეყნდა ცნობა, რომ საქართველო მთავრობა პრეზიდენტის ავარაქისათვის მიუსერაში თხოვლობის დამატებით 480 ჰექტარ ფართობს, რათა გადაეცეს იგი რუსეთს მუდმივ სარგებლობაში.

საქართველოს მიწა საქართველოს კუთვნილება, ისევე, როგორც რუსეთის მიწა რუსეთისათვის. თვით პრეზიდენტსაც კი, მისი განუზომელი უფლებების მიუხედავად, არ ძალუძს გახდეს მფლობელი იმისა, რაც ეკუთვნის მხოლოდ საქართველოს.

პოლიტიკური მოვლენები სწრაფად იცვლება ქვეყნის გარეთ და შიგნითაც. ამან მაინც უნდა შეაჩეროს საქვეშრო მთავრობის მი-

ერ „მამე“ რესპუბლიკების 70-წლიანი ექსპანსია. ყველაფერს აქვს ამ ქვეყნად დასასრული, მათ შორის ქართველი ხალხის მოთმინებასაც.

მოვითხოვთ: საქართველოს მთავრობამ გავაცეს ოფიციალური პასუხი ჩვენს ღია წერილზე; წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლების მუშაობის კოლექტივი უფლებას იტოვებს გაუგზავნოს ღია საპროტესტო წერილი სსრკ პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვსა და რუსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ბ. ნ. ელცინს.

**საპარტიო სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის**  
**დია ფერილი.**

## „ისმინე სნაგლის მკვლელო!“

ანგეის სახალხო უნივერსიტეტი თავისი არსებობის წელიწადს ითვლის. ამ ზნის განმავლობაში მან უკვე გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული ეროვნული კულტურისა და განათლების პროპაგანდაში.

მოგეხსენებათ, რომ ეს უნივერსიტეტი არსებობს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს, საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობასა და სახალხო უნივერსიტეტების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდენტთან, რომლებმაც განაზოგადეს რა ამ უნივერსიტეტის მუშაობა, სანიმუშო შეფასება მისცეს და გადაწყვიტეს, რომ ხელი შეუწყონ მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას. ანგეის რაიონში ამგვარად მატე-

რიალური ბაზით უზრუნველყოფილი შენობა სპეციალურად ამ უნივერსიტეტისათვის.

მიმდინარე წლის 14 ივნისს გაზეთში „სახალხო განათლება“ რესპუბლიკის ფართო საზოგადოებას გააცნო საქართველოს განათლების სისტემის ახრი ანგეის სახალხო უნივერსიტეტის მუშაობის თაობაზე.

ამ წერილმა დიდად დაინტერესა ქართველი პროფესორ-მასწავლებლები, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს მომავალი სასწავლო წლიდან ანგეის სახალხო უნივერსიტეტში წაიკითხონ ლექციები.

მე, არა როგორც სახალხო უნივერსიტეტის რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდენტის თავმჯდომარე, არამედ, როგორც მოქალაქე და

როგორც ერთ-ერთი ქართველი მეცნიერთაგანი, ენერჯიას არ დავიშვებ ანგეის ასეთი მნიშვნელოვანი ახალი ცოდნის კერის წინსვლისათვის. ვისურვებდი, რომ ამ ტიპის სასწავლებლები შექმნილიყოს ჩვენი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. — აღნიშნა სახალხო უნივერსიტეტების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდენტის თავმჯდომარემ, სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის, პროფესორმა დამიანე გოგონიამ.

გუსურვებთ ანგეის სახალხო უნივერსიტეტს შემდგომ წარმატებებს, რადგანაც ვფიქრობთ, რომ დღეს, როგორც არასდროს, არის საჭირო ასეთი ტიპის სასწავლო კერების არსებობა, რადგანაც მას შეუძლია მომავალ დამოუკიდებელ საქართველოს ღირსეული კადრები მოუზნალოს.

**ზინა აბრამია**

საპარტიო სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ გვიმ გუგარაძის გაზეთების „ახალგაზრდა ივერიელი“ და „მამული“ რედაქციებს

## წერილი რედაქციას

## რატომ გადაპარკვამ?

სერის დასავლეთი მონაკვეთის ტექნიკური ბუნებით. XVII საუკუნის 20-იანი წლების ერთ საბუთში ნათქვამია, რომ ეკსპედიციის საეკლესიო გლეხს... ჩალოვანს ეწერა 5 ლოთარეჯი (წონის ერთეული ძველ სამეგრელოში, 1 ლოთარეჯი უდრის 14 კვგრებს), ანუ ორ ჯერჯანქას, ანუ 819,8 გრამს) საბუთში.

უფალკარი (უფლისკარი) ძველი სახელია და იგი ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში შედიოდა ეკსპისათვის საბჭოში. ასეა 1926 წლის მოსახლეობის აღწერაში და 1930 წლის ადმინისტრაციულ-ტე-

რეტორიულ დაყოფაში. ასევე დატანილი იმ პერიოდის რუკებზეც შემდგომი, რეალური სახელწოდება უფალკარი შეუცვლიათ შორისკარის სახელით. საყურადღებოა ისიც, რომ სიტყვა კარი ორივე შემთხვევაში დატოვებულია და ტომობის მაწარმოებელი სიტყვაა შეცვლილი. ამდენად, შესაძლებელია არა ეკსის სახელი, არამედ შორისკარი, რომელსაც უნდა დაუბრუნდეს ძველი სახელი — უფალკარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულსა, ბუნებრივი პირობების მიხედვით შეეძლება უფალკარის სახელწოდების გადატანა და, თანაც, სხვისი სახელწოდებით შეცვლა მისი სახელწოდება არ მიგვიჩნიათ თვით სახელი ეკი აკმაყოფილებს ტომობისადმი წაყენებულ მოთხოვნებს — სისადვე, კეთილდღეობა, ლოგოკური კავშირი ობიექტთან და, რაც მთავარია, სახელწოდება ეკი ამ ადგილის თავდაპირველი სახელია.

**კრეა ხარაძე**



# ლაზარონის ფიასკო

სალო წარსულში არგენტინის ჩემპიონსა და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მცველს დანიელ ლაზარონს კამერუნის ნაკრები იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის ფარგლებში შორის დაასახელა. ფაქტობრივად რა მოგახსენოთ, მაგრამ ფაქტი, რომ კამერუნელები მეტწილად ფიასკოში გავიდნენ, ალბათ, მათ ბევრს წინააღმდეგობა შეუქმნა. მეთვრამეტე საუკუნის კამერუნელი კვლავ მათმა უარესად გასულიყო და ტექნიკურმა ფორმამ რომელიც მილიან მონტანა, რომელიც გატანილი ორ ბურთს დაელოდა ფრედი რინკონის მსოფლიო გოლით უპასუხეს. აღნიშნავთ როგორც მილანის მიერ გატანილი მეორე გოლი, როდესაც კოლუმბიელთა მეკარე რენე ლიგურის "მოპარა" ბურთი და დაიწყო კარში არ გასპირება. ბურთის გაგზავნა. ყველასათვის ცნობილი იყო ცნობილი კოლუმბიელთა ამ უცნაური მეკარის ხშირი შეცდომები (მ), მაგრამ, როგორც ნაკრების მწვრთნელი ფრანსისკო ბლანკო თვლიდა, პიგუიტა არასდროს დასჯილია კარებიდან შორს მისი ზე გამოსვლებისათვის და იგი, როგორც მილიან დაამარჯვა თავი „მოიერიშე“ მეკარეს. ბომბარდირთა სიაში კი როგორც მილიან თბილისი გატანილი ბურთი ადგილზე გადმოიხატა და ბურთი ბურთით ჩამორჩება ჩემპიონთაგან. თვითმხედველს ტრამპს სკუპრავის. ამ უკანასკნელმა მისი წინააღმდეგობა მერვედფიქტურა შეხვედრა კოსტარისკის ბურთთან და სამი ერთმეორეზე მეტბურთი ბურთი გაიტანა მეკარე მონტანა ბარანტის კარში, თანაც თავისი როგორც ადრე აღნიშნულს, კოსტარისკელთა მერვედფიქტურაში გასვლა ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო და ამ შეხვედრის შემდეგ მათ ლირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს გამოცდილ მეკარეებს, თანაც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტრავმის გამო არ მონაწილეობდა ძირითადი მეკარე ლის გაბელო კონეზო. ამ შეხვედრის ბოლო წუთებში კი ჩემპიონთაგანის ნაკრების რეალური და-

ლა დაგვიანა და მათაც არ გასპირებდნენ დიდი ანგარიშით გამარჯვება — 4:1. ზემოთ ჩვენ სკუპრავის გოლები აღნიშნულ და ამ მატჩში ასევე ეფექტური იყო ჩემპიონთაგანის ნაკრების საუკეთესო ნახევარმცველის ლუბოშ კუბიკისა და კოსტარისკელი რონალდ გონსალესის მიერ გატანილი ბურთები. ჩემპიონთაგანის ნაკრების მეტრეკე კი გამოვიდნენ უარესად დრამატულ, პრინციპულ და რაც მთავარია, ულამაზეს შეხვედრაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და პოლანდის ნაკრებების მონაწილეობით. ამ საინტერესო მატჩის დეტალურ აღწერას არ შევუძლებთ, იგი უამრავმა ტელემაყურებელმა იხილა, ერთს აღნიშნავთ მხოლოდ, რომ დასავლეთ-გერმანიელმა ლირსეული გამარჯვება მოიპოვეს ასევე ლირსეულ მეტრეკესთან. რა თქმა უნდა, ძნელია დაბეჭდვით იმის აღნიშვნა, თუ რომელ გუნდს უფრო დიდი ძალა გამოაკლდა შეხვედრის დასაწყისში: დასავლეთ გერმანელებს — სახიფათო თავდასხმეული რუდი ფიოლერი, თუ პოლანდიელებს — ფრანკ რიკიარდი. მატჩმა დაგვიანა, რომ ამით პოლანდიელები უფრო დაზარალდნენ, რადგანაც მათი დაცვის ცენტრში არა ერთი ბზარი გაჩნდა და რონალდ კუბანი მარტო ვერ უმკლავდებოდა გერმანიელთა მწვავე იერიშებს. იერიშებს, რომლის სულისჩამდგმელი და მთავარი როლის შემსრულებელი იურგენ კლინსმანი გახლდათ. რა თქმა უნდა, სუბიექტურები არასდროს არ უნდა ვიყოთ, მაგრამ ჩვენი აზრით, იურგენ კლინსმანი ამჟამად მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობის ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი და რეალური კანდიდატი. ასევე შესანიშნავი ფეხბურთის აჩვენებელი დასავლეთ გერმანიელთა ნაკრების კიდევ ორი წარმომადგენელი — ლოტარ მათეუსი და ანდრეას ბრემე და ეს ფაქტი, რომ ლიდერები ბრწყინვალე სპორტულ ფორმაში იმყოფებიან, ერთ-ერთად ზრდის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების შანსს მესამედ მოიპოვონ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული.

რაც შეეხება ევროპის ჩემპიონებს — პოლანდის ნაკრებს, უნდა ითქვას მათ ვერ აჩვენეს ის ფეხბურთი, რომელსაც მათი უამრავი თავდასხმეული ელოდებოდა. ორადორი ფეხბურთელი იყო მხოლოდ, რომლებმაც თავიანთი ოსტატობის დონეზე ჩაატარეს შეხვედრები იტალიაში — მეკარე ჰანს ვან ბრეკელენი და რონალდ კუბანი. ხოლო მარკო ვან ბასტენისაგან ასეთ უფერულ თამაშს არავინ ელოდებოდა... არავინ ელოდებოდა აგრეთვე იმას, რომ არგენტინის ნაკრები ბრაზილიელებს დაამარცხებდა. არავინ, გარდა არგენტინელებისა და მათი ლიდერის დიეგო მარადონასი. ალბათ, რამდენიმე მატჩს გუთვოდა ის საგულე მომენტები, რომლებიც არგენტინელთა მეკარე სერჯიო გოიკოჩეას კართან შეიქმნა, მაგრამ ყველა უშედეგოდა, როგორც ხშირად ხდება, არგენტინელთა ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს კლავდიო კანიჯამ გამარჯვების გოლი გაიტანა. შეიძლება ბევრს დასწყია გული შესანიშნავი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ბრაზილიის ნაკრების მარცხის გამო, მაგრამ ადრე თუ გვიან ლაზარონის ტაქტიკის ფიასკო ელოდა. ნამდვილად მართლაც აღმოჩნდნენ ის სპეციალისტები, რომლებიც ბრაზილიელთა მწვრთნელს ზემეტ სიფრთხილში, და რაც მთავარია, არაბრაზილიური სტილით თამაშში სდებდნენ ბრალს. კვლავაც ვიმეორებთ, რომ არ გვინდა, სუბიექტურები ვიყოთ, მაგრამ ლაზარონი აშკარად მიკერძობას იჩენდა ძირითადი შემადგენლობის შერჩევას. ძალზე ეპიზოდურად მოუწიათ გამოსვლა ისეთ აღიარებულ ოსტატებს, როგორებიც არიან რენატო, ბებეტო, რომარიო და სილასი. ასევე არ მოეცა ადგილი ახალგაზრდა ნახევარმცველს ბისმარკს, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ასეა თუ ისე, მსოფლიო ჩემპიონატს კიდევ ერთი აშკარა ფავორიტი გამოაკლდა, მაგრამ წინ უფრო და უფრო საინტერესო შეხვედრები გველის...

გივი ბიბანელი



## შეგიძლოდა... დამოუკიდებელ პრეპტიკაში

ჩვენს გაზეთში ბოლო ხანებში არაერთი მახალა გამოქვეყნდა ექსტრასენსივით. როგორც ადრე ვწერდით, ჩვენ კვლავაც ვცდილობთ შეძლებისდაგვარად, კომპეტენტურ სპეციალისტთა დახმარებით დაწვრილდეთ, გამოვიკვლიოთ ამა თუ იმ ექსტრასენსივით რეალური შესაძლებლობები და მახალს მხოლოდ ამის შემდეგ მივცით „მწვავე გზა“. დღეს გააცნობთ კიდევ ერთ საინტერესო ექსტრასენსივს — სოფიო ნარსიას, რომლის პრაქტიკულ შესაძლებლობებში თავდაცვით დაწვრილდით.

როგორც ექსტრასენსი, სოფიო ნარსია ცნობილია მკურნალმა მედიკოსმა ალმონადის. ეს იყო 12 წლის წინათ. ქალბატონმა მერომ მასთან სამკურნალოდ მისულ სოფიოს მის გვერდით მუშაობა შესთავაზა, მაგრამ ეს მოხდა მას შემდეგ, რაც დაწვრილდა შეგიძლოდა ბუნებრივ მონაცემებში. ასე გაგრძელდა რამდენიმე თვე. მერე სოფიომ დამოუკიდებლად გახაზრომ მუშაობა.

მას შეუძლია თვითონვე დასვას დიაგნოზი, კურსავს შემდეგ დაავადებებს — ჩიყვს, მასტოპათიას, ენურეზს, რადიკულიტს, ახლომხედველობას, სხვადასხვა წარმოშობის ნევროზს, პაიროზს, კლიმაქსის ნარჩენ მოვლენებს, სხვადასხვა ანთებით პროცესს, ასთმას და სხვა.

მის სამკურნალო ძალაზე მეტყველებს განკურნებულ პაციენტთა ჩანაწერები, რომელთაგანაც რამდენიმეს შემოგთავაზებთ:

„მაწუხებდა ნაღვლის საშინელი შეტევები, მას თან ერთვოდა პიპერტონული კრიზი. თითქმის ყოველდღე მიხდებოდა სასწრაფო დახმარების გამოძახება. მოვხვედი სოფიო ნარსიასთან. მან რამდენიმე სესიის შემდეგ მომიხსნა ძლიერი ტკივილები, ნორმალზე დამიყვანა წნევა, ამასთან, დამატებით მომიწესრიგა მრავალი ფუნქციონირებადი ორგანოს მოქმედება.“ — ვერს ქურნალ „პირიზის“ კორესპონდენტი თამარ კაპანაძე.

„მაწუხებდა სახსრების პოლიართრიტი, მართლები, ოსტეოქონდროზი. სოფიოსთან ჩავიტარე ერთი კურსი მთლიანად, ახლა თავს კარგად ვგრძობ.“ — ვერს მოქალაქე თუთბერიძე. ჩანაწერს მეტი დამაჯერებლობისათვის რენტგენოგრაფიები აქვს დართული.

„მეგრე დღეა დავდივარ სოფიო ნარსიასთან. ძალიან კმაყოფილი ვარ შედეგით. ნუ მიწყენთ გვარსა და სახელს რომ არ ვწერ. არავინ იცის ჩემი მდგომარეობა, თუ სა-


ქირო იქნება მე თვითონ მოვალ რედაქციაში და გიჩვენებთ შედეგს.“ — ვერს 29 წლის მ. ნ. (მას ხერხემალი ჰქონდა გართულებული). მას ამ ჩანაწერთან ერთად წარმოდგენილი ჰქონდა სამი ცალი რენტგენოსურათი, სადაც მართლაც გარკვევით შეიმჩნეოდა მიღებული შედეგი.

ჩვენ ვნახეთ, აგრეთვე, თბილისის ერთ-ერთი რაიონის პოლიკლინიკაში გაცემული სამკურნალო რუკა, სადაც გარკვევით არის აღნიშნული ოთხი წლის ლედა ა-ის დიაგნოზი — მცირე ეპილეფსია. ბავშვს მკურნალობდა სოფიო ნარსია. როგორც ბავშვის დედა წერს — ლედა 3 წლიდან მუდმივად იღებდა წინააღმდეგობას, 5 თვის განმავლობაში დაჰყავდა სოფიოსთან, მან ჩაუტარა სამი კურსი, ბავშვი ახლა წინააღმდეგობას აღარ იღებს. თავს ძალიან კარგად გრძობს. დედა დიდ მადლობას უხდის ქალბატონ სოფიოს შეიღვლის განკურნებისთვის.

და ბოლოს კიდევ ერთი ფაქტი. რედაქციაში ქალბატონ სოფიოს ვთხოვეთ ექსტრასენსივით ჩვენი თანამშრომლის შეიღვლისთვის. მას კარგა ხნის მანძილზე აწუხებდა უძილობა, შიში, მოკლედ, მწვავე ხევროზისთვის დამახასიათებელი ყველა მოვლენა. სოფიოსთან ერთი კურსის ჩატარების შემდეგ პაციენტს გაუქრა შიშის გრძობა, გაუუმჯობესდა ძილი და, როგორც თვითონ წერს, „თავსაც ძალიან კარგად გრძობს“. ამას მისი მშობლებიც აღსატყუებენ.

დასასრულს გეტყვით იმასაც, რომ ქალბატონი სოფიო მუშაობს სამედიცინო კოოპერატივ „პარმონიაში“. რომელიც მდებარეობს დიღმის მასივში, ბელაშვილის ქუჩის ბუთ ნომერში. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიაკითხონ იქ ყოველდღე, გარდა კვირისა 10-დან 15 საათამდე.

ლიბო ჯაფითაილი



### „შეპარდანი“ — პიროვნული

### მასის პირველი გვლგობელი

საფეხბურთო ეროვნულ ჩემპიონატს მოხარდებამაც აუბეს მხარი. უნდა პირველად გაიმართა საქართველოს ეროვნული ფეხბურთის მსოფლიო „სიკაბუქის თასის“ ტურნამენტი (1975-76 წ.წ.).

ფინალში „შეპარდენისა“ და გაბელოს საფეხბურთო სკოლის გუნდს შეხვედრენ ერთმანეთს თბილისის 26 კომისიის სახელობის სტადიონზე.

თამაში ყოველგვარი დახვეწის გარეშე დაიწყო და საგულე მომენტები ხშირად იქმნებოდა ორივე გუნდის კართან. ერთ-ერთი შეხვედრა გოლით დაამთავრა — გაბელოს რუხიაამ გვერდი აუარა

რამდენიმე მცველს და ეფექტური დარტყმით ბურთი მოწინააღმდეგის კარის ბაღში მოათავსა.

მიღებულ გოლს თბილისელთა ტაქტიკაზე არ უმოქმედია. ისინი კვლავ მეთოდურად ურთმდნენ გაბელოსა საჯარიმო მოედანს და შედეგამაც არ დააყოვნა. ხორბაულმა ასევე ეფექტური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა.

პენალტის სერია „შეპარდენმა“ უკეთ შეასრულა და საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ფედერაციის „სიკაბუქის თასის“ პირველი გათამაშების ლაურეატი გახდა.

აღსანიშნავია, რომ „შეპარდენი“ ორჯერ იყო თბილისის საფეხბურთო სპორტული სკოლების ჩემპიონი. გამარჯვებული სპორტული სკოლის დირექტორია ანზორ ჭინკარაძე (იგი ადრე თვითონ წვრთნიდა „შეპარდენის“ ფეხბურთელებს), მწვრთნელები — თთარ გიგოლაშვილი და იუზა წილოსანი. ფინალური შეხვედრის მონაწილე გუნდების საუკეთესო ფეხბურთელებსათვის დაწესებული პრიზები გადაეცათ თბილისელ ხეინთელანს და გაგრელ რუხიაას.

საუკეთესო მეკარის პრიზი კი „შეპარდენის“ წევრმა კიწმარიშვილმა დაისაკურთა.

ლევან ჯაბიძის ტექტი და ფოტო.

სლოვანეთი




303

ზღვრის სპონსორები არიან სსიპ-ს  
მოქმედი ასოციაცია "სლოვანეთი"  
და ასევე ასოციაციის ფონდს "არსი"



შამპანური, ზვანჭკარა, ლიმონი, ნაღები, შოკოლადი...  
ყველა ეს გამაგრილებელი სასმელი სრულიად  
დაგავიწყებთ შემაწუხებელ სიცხეს

სლოვანეთი




სლოვანეთი




სლოვანეთი



სლოვანეთი



სლოვანეთი



ახალი თაობა ირჩევს პეპსი-კოლას  
და... ბრძელიძის ნულებს  
საფირმო მაღაზიის მისამართია  
მერაბ კოსტავას ქუჩა № 16

ამ ვერდზე გამოქვეყნებული მასალების მონორარი გადარიცხება სოფ. მუჯაბის მუნიციპალიტეტის ფონდში, ასოციაცია „ალტინების“ ანგარიშზე 100700408 მთაწმინდის რაიონის ბინსუცბანკში.

სალომონა  
კვიციანი  
Общественно - политическая  
молодежная газета  
«Ахалгазда Иверელი»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81;  
პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56;  
წერილების განყოფილება — 98-00-49.

პაუთი გამომცემის კვირაში სამჯერ  
საშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.  
რედაქციაში შემოსული მასალები ავტო-  
რებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი  
მერაბ პალაჩიშვილი

საქართველოს კ. ც. -ის ტ. შ. № 380096, თბილისი-98, მ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება  
ოცხებური წესით ხავაზეთო კორპუსში, ხოსთარაულის № 29 1, 2, 4, 5, 7,  
8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 68400 1, 2, 4, 5, 7,  
უი 00916

რედაქციის მისამართი  
ქ. თბილისი — 380008  
მ. კოსტავას ქ. № 14.